შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ.თბილისი „ 20 “ დეკემბერი 2018 წ.

სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ინტერავტო თრეიდინგი“-ს შორის 2018 წლის 2 ნოემბერს, საბურავების შესყიდვის მიზნით დადებულ **№463/2018** ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 1. შეთანხმების მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, **გიორგი იაკობაშვილის** სახით და მეორე მხრივ, შპს „ინტერავტო თრეიდინგი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ბეროშვილის სახით.

მუხლი 2. შეთანხმების საგანი

საქართველოს მოქმდი კანონმდებლობისა და მხარეებს შორის 2018 წლის 2 ნოემბერს დადებული №463/2017 ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.4 პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.2. დაფინანსების წყარო - „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები“-ს ფარგლებში, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.”

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები, რომელსაც შეთანხმება არ შეხებია, რჩება უცვლელი.

3.2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს მხარეებს შორის, 2018 წლის 2 ნოემბერსს დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 4. მხარეთა ხელმოწერები

შესმსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	**შპს „ინტერავტო თრეიდინგი“**
სააგენტოს უფროსის მშ	**კომპანიის დირექტორი**
გიორგი იაკობაშვილი	**ალექსანდრე ბეროშვილი**